

**ს.ს.ი.პ - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების  
 ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის ([www.eauction.ge](http://www.eauction.ge)) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

<b>ობიექტი №1</b>	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება
სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი
202482571	
2	მისამართი/ტელეფონი
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2950030 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 032 2950030	
3	ელ-ფოსტა
Info@nam.gov.ge	
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის
<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;</p> <p>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;</p> <p>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) ობიექტის მთელ ფართობზე, არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მეტრს;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრონული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №340 დადგენილებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებულ ხაზოვან ნაგებობებთან (გაზსადენი ქსელი) 15 (თხუთმეტი) მეტრზე ახლოს სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, სამუშაოების დაწყებამდე 2 (ორი) დღით ადრე დაუკავშირდეს კომპანიის იმერეთის რეგიონული ოფისის მთავარ ინჟინერს;</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის 2023 წლის 8 მაისის №2685/05 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება ლიცენზიის გაცემიდან 30 (ოცდაათი) თვის ვადაში არ გაასხვისოს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის 50% და საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს</p>	

გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, ლიცენზიის მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს მისი გადაცემა განსაზღვრული ფასის (ლიცენზიის მფლობელის მიერ გადახდილი სააუქციონო ფასის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განსაზღვრული მოსაკრებლისა და რესურსის მოპოვებისათვის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადასტურებული საჭირო თანხის ჯამი) შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგზაო და ნაპირდაცვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (ლოტი F1), ხევი-უბისას (ლოტი F2), უბისა-შორაპანის (ლოტი F3) და შორაპანი-არგვეთას (ლოტი F4) მონაკვეთების მშენებლობის პროექტებს;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2023 წლის 26 აპრილის №2-03/6417 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ნ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ო) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

პ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების

		ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); რ) დაცული იქნეს „ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის“ საქართველოს კანონით და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები და ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, პირველი სვირის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 205 290 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, პირველი სვირის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	206449 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	20644.9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	20845 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2023 წლის 18 სექტემბრის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 18:00 საათზე.
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 18:00 საათზე.
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 95 00 30 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. II ჩიხი №2
3	ელ-ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით; ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით

გათვალისწინებული მოთხოვნები;

ე) შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებულ ხაზოვან ნაგებობასთან (გაზსადენი ქსელი) 15 (თხუთმეტი) მეტრზე ახლოს სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაუკავშირდეს კომპანიის ცენტრალური რეგიონული ოფისის წარმომადგენელს სამუშაოების დაწყებამდე 2 (ორი) დღით ადრე.

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №340 დადგენილებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები;

თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ლ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

მ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იზვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);

პ) დაცული იქნეს „ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის“ საქართველოს კანონით და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, ასევე

		შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები და ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მცხეთის მუნიციპალიტეტში, გალავნის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე, მდ. თეზამის ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 000 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მცხეთის მუნიციპალიტეტი, გალავნის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	60339 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	6033.9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6234 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2023 წლის 18 სექტემბრის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 18:00 საათზე.
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 18:00 საათზე.
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202482571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2950030 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	Info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;</p> <p>ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში, ტერიტორიის დაჭაობების თავიდან აცილების მიზნით, წარმოქმნილ ქვაბულებში წყლის ჩადგომის შემთხვევაში, უნდა მოხდეს წყლის დაწრეტვა სადრენაჟე არხებით ან სხვა მეთოდებით;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს წიაღისეულის სარგებლობის ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა;</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების</p>

		<p>პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები.</p> <p>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ლ) დაცული იქნეს „ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის“ საქართველოს კანონით და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები და ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ნახიდურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, მდ. მაშავერას ქვიშა-ხრემის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 21 585 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ნახიდურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	26318 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2631.8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2832 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2023 წლის 18 სექტემბრის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 18:00 საათზე.
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2023 წლის 2 ოქტომბრის დღის 18:00 საათზე.

13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში